დღგ-ის ჩასათვლელი თანხა 1183

ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ის გადამხდელი პირის მიერ შეძენილი საქონელი/მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია.

კალენდარული წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის თანხის 5%-ზე ნაკლებია. წლის ბოლოს პირს სრულად აქვს ჩათვლილი წლის განმავლობაში ჩასათვლელი დღგ-ის თანხები

I ვარიანტი:

პირის მიერ დღგ-ის ჩათვლა განხორციელებულია საანგარიშო პერიოდებში (თვეებში) არსებული პროპორციის შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 5%-ზე ნაკლები იყო, დეკემბრის თვეში განახორციელა სრული კალენდარული წლის მიხედვით დღგ-ის თანხის სრულად ჩათვლა.

II ვარიანტი:

პირის მიერ საანგარიშო პერიოდებში (თვეებში) დღგ-ის ჩათვლა განხორციელებულია სრულად, არსებული პროპორციის გაუთვალისწინებლად

შეფასება

სსკ-ის 174-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საანგარიშო პერიოდების (თვეების) მიხედვით პროპორციის დაცვით გაანგარიშებული დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

ამასთან, სსკ-ის 174-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება სავალდებულო არ არის, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.

I ვარიანტში:

პირის ქმედება მართლზომიერია, ვინაიდან საანგარიშო პერიოდებში დღგ-ის თანხების ჩათვლა მის მიერ განხორციელებულია დადგენილი წესის დაცვით

II ვარიანტში:

საანგარიშო პერიოდების მიხედვით, პროპორციის დაცვის გარეშე, დღგ-ის ჩათვლას საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს

ღონისძიებები

I ვარიანტში:

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება

II ვარიანტში:

პირს საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაუკორექტირდება (შეუმცირდება) დღგ-ის ჩასათვლელი თანხები და დაერიცხება სსკ-ის 275-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმა დეკლარაციებში ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის შემცირებისათვის

სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2015 წლის 20 აპრილისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.